საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №26
2024 წლის 5 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს №22 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ქსელის წესების“ (სსმ, ვებგვერდი, 07/09/2018, სარეგისტრაციო კოდი: 300280000.16.009.016277) დანართი №4-ის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია უფლებამოსილია ნება დართოს ტრანსპორტირების ლიცენზიატს, მისი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს წინამდებარე დანართის დებულებებთან შესაბამისობა 2026 წლის 31 დეკემბრამდე, იმ პირობით, რომ ტრანსპორტირების ლიცენზიატი არ მიმართავს ამ დანართის X თავში მითითებულ დროებით ღონისძიებებს. იმ შემთხვევაში, თუ კომისია გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, წინამდებარე დანართი არ გავრცელდება ამ ტრანსპორტირების ლიცენზიატის დაბალანსების ზონის ფარგლებში, იმ მოცულობითა და გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობით, რომელიც დადგინდება კომისიის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**